20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

განკარგულება

2019 წლის 23 აგვისტო № 1190

თბილისი

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კავკასუსკრედიტი"-ს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებაზე თანხმობის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე–15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 აპრილის №59/04 ბრძანებით დამტკიცებული „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესი"-ს მე-7 მუხლის მე-3 და მე-8 პუნქტების, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 28 იანვრის N13/04 ბრძანების საფუძველზე:

1. საქართველოს ეროვნული ბანკი ეთანხმება სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კავკასუსკრედიტი"-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 220410623) ლიკვიდატორის 2019 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ეროვნულ ბანკში შემოტანილ განცხადებას და თანხმობას აცხადებს, რომ ლიკვიდატორმა სასამართლოში შეიტანოს განცხადება გადახდისუუნარობის შესახებ;

2. აღნიშნული განკარგულება გამოცემიდან 10 დღის ვადაში გამოქვეყნდეს საქართველოს ეროვნული ბაკის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.nbg.gov.ge) და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ში (www.matsne.gov.ge).

3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. N6), მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

პაპუნა ლეჟავა